

„პანდემიას კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის თვალსაზრისით სასიკეთო არაფერი მოუტანია. პირიქით..“

progressnews.ge/პანდემიას-კლიმატის-ცვლი

April 17,
2020



Covid-19-ის პანდემიამ მსოფლიო ეკოლოგია, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი სრულად შეცვალა. მეცნიერები იუწყებიან, რომ გადაადგილების მასობრივი შეზღუდვა გლობალურ კლიმატზე დადებითად აისახა – ნახშირორჟანგის ემისიებისა და სხვა მავნე ნივთიერების გამოყოფის შემცირებასთან ერთად, იკლო ატმოსფეროს დაბინძურების დონემ, თუმცა მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ეს გლობალური კლიმატის გაუმჯობესებას არ ნიშნავს. მეტიც, ევროპული კოსმოსური სააგენტოს სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ არქტიკის თავზე, ოზონის შრეში რეკორდული ზომის ხვრელი გაიხსნა.

მეცნიერები ვარაუდობენ, ხვრელი ამ თვის ბოლოს გაქრება, თუმცა მისი ჩამოყალიბება იმაზე მიუთითებს, რომ პლანეტა საგანგაშო მდგომარეობაშია, რისი მიზეზიც სტრატოსფეროში არატიპურად დაბალი ტემპერატურა გახდა. რას უნდა ველოდოთ პანდემიის დასრულების შემდეგ კლიმატის ცვლილებების თვალსაზრისით? თემაზე „პროგრესნიუსს“ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე ესაუბრა:

_ სიტუაცია, რომელიც პანდემიის შედეგად მსოფლიოში შეიქმნა, 6 თვეც რომ გაგრძელდეს, კლიმატზე ვერანაირად ვერ იმოქმედებს. გლობალური ემისიების რაოდენობა, რომელიც უკვე ჰაერშია, უკვე ძალიან ბევრია და ეს ხანმოკლე პროცესი არაფერს შეცვლის. და კლიმატის გლობალურ ემისიებთან კავშირი არ აქვს. ჯერჯერობით, არ მინახავს კვლევა, რომელიც ამბობს, რომ კოვიდის გამო, კლიმატი გაუმჯობესდა.

_ არსებობს მონაცემები, რომ ჩინეთის თავზე და არა მარტო იქ, ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი შემცირდა.

_ ზოგადად, ემისიების ძალიან დიდი ნაწილი იყო ავტომანქანების გამონაბოლქვის შედეგი. კი ბატონო, ჩინეთის და ჩვენს თავზეც აღარ არის დაბინძურების ისეთი მაჩვენებელი, მაგრამ ჩვენს ჯანმრთელობას აბინძურებს არა CO2, რომელიც მთავარი სათბური გაზია, არამედ მყარი შენონილი ნაწილაკები, გოგირდის ემისია, მეთანი და ა.შ. თბილისში ჰაერი ჯერჯერობით კარგია, თუმცა რუსთავეში ყველაფერი იგივეა, რადგან ყველაფერი გაჩერდა რუსთავის სანარმოების გარდა. კასპშიც იგივე ხდება. ასე, რომ კვლევა, რომელიც ამბობს, რომ პანდემიის გამო კლიმატი გაუმჯობესდა, არ მინახავს. რაც ვნახე, ყველა დასკვნაში წერია, რომ ეს არის დროებითი და ჯერჯერობით, ამას არანაირი ზემოქმედება კლიმატზე არ აქვს.

_ თუ სწორად მივხვდი, იმედი, რომ მსოფლიო პანდემია უბედურების გარდა, რაღაც სასიკეთოსაც მოგვითანს, უსაფუძვლოა?

_ სასიკეთოს? პირიქით! არსებობს მოსაზრება, რომ პანდემია იმის შედეგია, რომ ცხოველებს სასიცოცხლო გარემო არ დავუტოვეთ და ამ თვალსაზრისით, მოულოდნელი არაფერი მომხდარა. რაც ამჟამად მთელ მსოფლიოში ხდება, ეს არის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გაუარესება. გნებავთ ჩინეთში, გნებავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. რაც შემძღვია დანამდვილებით გითხრათ, კოვიდ 19 კიდევ უფრო შეუშლის ხელს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას – უზარმაზარი ფული, რომელიც მსოფლიომ პანდემიასთან ბრძოლისკენ მიმართა, პირველ რიგში ისევ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას მოაკლდება. შესაბამისად, გლაზგოში დაგეგმილი კლიმატის ცვლილების კონფერენცია, რომელსაც საბოლოო შეთანხმება უნდა მიეღო, ალბათ არ შედგება.

_ იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ საბოლოო შეთანხმებაზეა საუბარი?

_ უნდა მომხდარიყო თანხების გამოყოფა და ეკონომიკის პერეორიენტაციაზე მუშაობის დაწყება, მაგრამ ახლა ამისთვის აღარავის სცალია, რაც კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო პროცესზე ძალიან ცუდად იმოქმედებს. ამასთან, ევროკომისიის ახალ შემადგენლობას რამდენიმე პრიორიტეტი ჰქონდა. მათ შორის, ერთ-ერთი იყო „მწვანე ხელშეკრულება“, რასაც ასევე პრობლემები შეექმნება. ასე, რომ პანდემიას კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის თვალსაზრისით სასიკეთო არაფერი მოუტანია. პირიქით..

„პროგრესნიუსი“